ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 13

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 1 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ. მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი გვენეტაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის გამარტივებული შესყიდვის საშვალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7."დანართი №1" – რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისთვის საქონლის ტელეფონის აპარატების მიწოდებას დანართი №1 შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა, ერთეულის ღირებულება და ჯამური ღირებულება მოცემულია დანართი №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2905.08 (ორი ათას ცხრაას ხუთი და 08 თეთრი) ლარი ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.მიწოდების წესი

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის ყოველი პარტიის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა, მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (თუ მიმწოდებელი დდგ-ის გადამხდელია), სასაქონლო ზედნადები, ხარისხის და წარმოშობის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მწარმოებლის ან მიმწოდებლის საგარანტიო სერტიფიკატი.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოდ შეფუთული, ან არასრული თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის პარტიის მიღებაზე.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანაზღაურება განხორციელდება დანართი №1-ის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5.2. ანგარიშსწორების ვადა/გრაფიკი – შესაბამისი შუალედური სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ხელმოწერის შემდეგ.

7. გარანტია

7.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლზე ვრცელდება მწარმოებლის სტანდარტული საგარანტიო პირობები. გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება საქონლის გადაცემის მომენტიდან.

7.2 გარანტიის მოქმედების პერიოდში დანართ #1-ში მითითებული საქონლის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში "დამკვეთი" წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონული ფორმით) აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ "შემსრულებელს". წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა "შემსრულებელი ახდენს რეაგირებას." მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში "შემსრულებელი" ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. მომსახურება განხორციელდება საშუალოდ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები "შემსრულებელს" აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

8.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.

8.3. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.5. მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით შეთანხმებულ საქონელთან.

8.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი -მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით

12.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ პირობებზე. მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულების ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარს, რომლებიც გადაეცემა თითოეულ ხელმომწერ მხარეს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო ქ. თბილისი, 0102, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N 2 ს/კ 204577699 ტელ: 143982 სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222 ა/ა #200122900 სააგენტოს თავმჯდომარე ი.გვენეტაძე	შპს „ორიენტ ლოჯიკი" აღმაშენებლის გამზ. 91ა, 0102 თბილისი, საქართველო; ს/კ 202052054 ტელ: +99532541818 სს ბაზისბანკი: 220101956 ა/ა: 5936872 დირექტორი ვ. ნასყიდაშვილი

დანართი # 1
2011 წლის 1 მარტი № 13 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ტელეფონი	Cisco 8 Line IP Phone With PoE and PC Port (SPA501G) / Cisco Power Supply for Linksys VoIP Products - 5V/2A (PA100-EU)	ცალი	12	214.54	2574.48	ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღე	ქ.თბილისი წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N 2
2	ტელეფონი	Cisco UC Phone 7911G (CP-7911G) / Cisco IP Phone power transformer for the 7900 phone seri (CP-PWR-CUBE-3=)	ცალი	1	330.60	330.60	ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღე	ქ.თბილისი წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N 2

ჯამი დღგ-ს ჩათვლით: 2905.04 (ორი ათას ცხრაას ხუთი და 04 თეთრი) ლარი

შემსყიდველი: სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო სააგენტოს თავმჯდომარე ი.გვენეტაძე	მიმწოდებელი შპს „ორიენტ ლოჯიკი“ დირექტორი ვ. ნასყიდაშვილი